



INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების
განვითარება საქართველოში

სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს საკანონმდებლო აქტებში

კვლევა მომზადდა პროექტის - „ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში“ - ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრთან“ (CPSS) ერთად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMII) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევა არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ავტორი: უჩა სეთური

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

ივნისი, 2013

შინაარსი

შესავალი.....	3
საერთაშორისო პრაქტიკა - ევროკავშირის ერთიანი სტრატეგიის ორიენტირები.....	4
ევროკავშირის ელექტრონული მთვრობის სტრატეგიის 2011-2015 სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა	5
სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში	8
დასკვნა.....	28
რეკომენდაციები	29

შესავალი

უდავოა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში სწრაფად იზრდება. ამ სერვისების საყოველთაოობა, მათთან იოლად წვდომის ხარისხი და ე.წ. „მარტივად გამოყენებადი“ ინტერფეისი¹, ერთი სიტყვით მოხერხებულობა მათ პოპულარობას და მათზე მზარდ მოთხოვნას განაპირობებს.

ეტაპობრივად იზრდება როგორც სახელმწიფო ასევე ბიზნეს სექტორში ელექტრონული სერვისების მოხმარების წილი და შესაბამისად საქართველოს ელექტრონული სერვისების ბაზარი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო არ ჩამორჩეს კერძო სექტორს და ელექტრონულ „ბაზარზე“ წარმდგენილი სერვისები მეტად ხელმისაწვდომი გახადოს მოქალაქეებისათვის. ეროვნული უმცირესობებისა და რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინება, დიდწილად განაპირობებს ელექტრონული მომსახურებით სარგებლობას და მათი მნიშვნელობისა და დადებითი მხარეების ადეკვატურ გაგებას.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით სახელმწიფო სერვისების მიწოდების მცდელობები, რომელთა შორის საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო შესყიდვების და საჯარო რეესტრის ელექტრონული სისტემები, თუმცა მხოლოდ ცალკეული აქტივობების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფო სერვისების ელექტრონული ხელმისაწვდომობის გაზრდის სტრატეგიის კოორდინაცია ე.წ. „ციფრული ეკონომიკის“ განვითარებისა და მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის გაზრდის მიზნით. ელექტრონულ სერვისებზე მოთხოვნის სტიმულირებისათვის (რაც გამოიწვევს მაღალსიჩქარიან ელექტრონულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გაზრდას) მნიშვნელოვანია ფართო საინფორმაციო კამპანიის წარმოება ყველა ასაკის მომხმარებლების ICT უნარჩვევების განსავითარებლად. არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის ელექტრონული პროგრამისა და ელექტრონული განათლების პროგრამების სამოქმედო გეგმის განსაზღვრას.

ქვეყნის ერთიანი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად გააზრებული და განხილული უნდა იყოს პროცესთან დაკავშირებული ყველა რგოლი, როგორც სახელმწიფო სერვისების, ასევე

¹ The *EUROPEAN UNION* and its eGovernment development policy.
www.upv.es/~lguijar/socinfo/docs/Alabau2004Book.pdf

კომერციული სერვისების კუთხით. ამ მიმართულებით საინტერესოა შეერთებული შტატების² და სამხრეთ კორეის გამოცდილება³.

საერთაშორისო პრაქტიკა - ევროკავშირის ერთიანი სტრატეგიის ორიენტირები

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას მნიშვნელოვანია შევხვით, ევროკავშირის მიერ 2010 წელს⁴ წარმოდგენილ ხედვას, კერძოდ 2020 წლის ევროპის გონივრული, მდგრადი და ყოვლისმომცველი ზრდის სტრატეგიას⁵. აღნიშნული სტრატეგია სხვა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებთან ერთად, რომლებიც პირდაპირ და ირიბად უკავშირდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას, ცალკე იყო გამოყოფილი ე.წ. „ციფრული ევროპის“ (Digital Agenda for Europe) სტრატეგიის ფარგლებში⁶. დოკუმენტით განსაზღვრულია რიგი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც საინტერესოა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ქართული ბაზარი ფრაგმენტირებულია რეგიონების და ქალაქების მიხედვით:

- ახალი ერთიანი ბაზრის ფორმირება, იმისათვის რომ მიწოდებული/ხელმისაწვდომი იყოს მოქალაქეებისათვის ახალი ციფრული სერვისების სიკეთები - აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ელექტრონული კომერციული სერვისებით. ამ მიმართულებით აქცენტი უნდა გაკეთდეს

² E-Government Strategy. http://www.usa.gov/Topics/Includes/Reference/egov_strategy.pdf

³ Korea ICT/e-Gov History, Best Practices and Lessons (Georgian IT Innovations Conference). <http://www.dea.gov.ge/uploads/GITI%202011/Korea%20ICT%20eGov%20History,%20Best%20Practices%20and%20Lessons%20-%20GITI.pdf>

⁴ შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ეს იყო მეორე საფეხური 1999 წლის შემდომ დაწყებული შესაბამისი მოქმედებების შემდგომ

⁵ EUROPE 2020 - A STRATEGY FOR SMART, SUSTAINABLE AND INCLUSIVE GROWTH. <HTTP://WWW.EPRACTICE.EU/EN/DOCUMENT/288485>

⁶ <http://ec.europa.eu/digital-agenda/>

ლეგალური ონლაინ კონტენტის მოცულობის ზრდაზე, ელექტრონული ვაჭრობის გაფართოებაზე და ა.შ.

- ერთიანი ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო სტანდარტების დადგენა და ურთიერთავსებადობის უზრუნველყოფა - იმისათვის, რომ მიეცეთ შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებს შექმნან, გაყიდონ-განათავსონ პროდუქტების ვირტუალურ სივრცეში, რომელიც უნდა იყოს ღია და თავსებადი მათ მოთხოვნილებებთან და ICT ჩვევებთან.
- ნდობის ზრდა და უსაფრთხოების საკითხების მოწესრიგება - არსებობს ნდობის პრობლემა გარკვეული ასაკის და რეგიონების მოსახლეობას შორის, რაც აქტუალურია საქართველოს მაგალითზეც, რადგან მიჩენულია რომ ინტერნეტ სივრცე ნაკლებად უსაფრთხო და კონფიდენციალურია.⁷
- მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის გაზრდა - ევროპის წევრი ქვეყნებისათვის 2020 წლისათვის დაგეგმილია ინტერნეტის სიმძლავრის 30 მეგაბიტწამამდე ყველა მოქალაქისათვის, ხოლო მოსახლეობის ნახევარისათვის 100 მეგაბიტწამამდე გაზრდა.⁸

ევროკავშირის ელექტრონული მთვრობის სტრატეგიის 2011- 2015 სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა

ევროპლარლამენტის და ევროსაბჭოს ეკონომიკისა და სოციალური საკითხების კომიტეტის, ასევე რეგიონების კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა ელექტრონული მთავრობის განვითარების სამოქმედო გეგმა.⁹

⁷ შენიშვნა: ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ვებ-გვერდების ოპერატორებს, რომ მიიღონ არსებული ზომები და მოახდინონ მომხმარებლების ინფორმირება არსებული კიბერ უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.

⁸ შენიშვნა: 2010 წლის მდგომარეობით ევროპის მხოლოდ 1 %-ია სწრაფი ოპტიკურ სადენიან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სერვისი, შედარებით იაპონიის 12 %-იან მაჩვენებელთან და სამხრეთ კორეის 15 %-იან მაჩვენებელთან.

2015 წელს ევროპის საჯარო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს "ღია, მოქნილი და თავსებადი ურთიერთობა მოქალაქეებთან და ბიზნესთან. ელექტრონული მთავრობის ფარგლებში უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს ეფექტურობა და ელექტრონული საზოგადოებრივი სერვისების სისტემატური განვითარება მოქალაქეებისათვის მაქსიმალური სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად.¹⁰ ეს მოქმედებები განსაზღვრულია ციფრული გზავნილით ევროპისათვის (Digital Agenda for Europe) და ემყარება მრავალმხრივ მინისტრიალებს - 2001 წლის ბრიუსელის, 2003 წლის კომოს, მანჩესტერის 2005 წლის და ლისაბონის 2007 წლის შეხვედრებს.¹¹ აღნიშნული გეგმა მოიცავს რეკომენდაციებს ასევე ევროპის სავაჭრო კავშირის წევრ (EFTA) ქვეყნებისთვისაც.

ე.წ. მალმოს დეკლარაცია¹² განსაზღვრავს 4 პოლიტიკურ პრიორიტეტს ევროპის ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციისათვის შემდეგი 5 წლისათვის:

- მოქალაქეები და ბიზნეს სექტორი ფლობენ უფლებას ელექტრონული მთავრობის სერვისებზე, რომელთა ფორმირებაც უნდა მოხდეს მომხმარებლის მოთხოვნილებების შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის შედეგად. უნდა გაიზარდოს წვდომა საჯარო ინფორმაციაზე მისი გამჭვირვალების ხარისხის გასაზრდელად და პოლიტიკურ პროცესში საზოგადოების ჩართულობის ასამაღლებლად.
- ერთიანი ბაზრის შიგნით მობილურობის გასაზრდელად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უწყვეტი ელექტრონული სახელმწიფო სერვისები ბიზნესის საწარმოებლად და სამართავად, ასევე განათლების, მუშაობის და ცხოვრების ერთიანი პირობების შესაქმნელად ევროპის კავშირის მამტაბით.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ელექტრონული სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა რაც განაპირობებს მათ სისტემატურ გამოყენებას. ეს თავის მხრივ

⁹ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS The European eGovernment Action Plan 2011-2015 Harnessing ICT to promote smart, sustainable & innovative Government

¹⁰ იხ. <http://www.egov2009.se/wp-content/uploads/Ministerial-Declarationon-eGovernment.pdf>

¹¹ იხ. http://ec.europa.eu/information_society/activities/egovernment/library/index_en.htm

¹² იხ. <https://ec.europa.eu/digital-agenda/sites/digital-agenda/files/ministerial-declaration-on-egovernment-malmo.pdf>

შეამცირებს ადმინსტრაციული ბარიერებს, გამარტივებს საორგანიზაციო პროცესებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

- სტრატეგიის პოლიტიკის პრიორიტეტების იმპლემენტაცია შესაძლებელია საკვანძო საკითხების ჩამოყალიბებით და შესაბამისი იურიდიული და ტექნიკური პროცედურების დამტკიცებით.

ICT პროცედურების დანერგვით შესაძლებლობა იქმნება ელექტრონული მმართველობიდან ერთობლივი მმართველობისკენ განვითარება. საბოლოო მიზანი - მოქალაქეების ჩართულობა - უზრუნველყოფილი უნდა იყოს მობილური ტექნოლოგიის, მონაცემთა ღიაობის, კომპიუტერების ღრუბლოვანი ქსელების, სოციალური მედიის და სხვა ვირტუალური ინფრასტრუქტურის გამოყენებით. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ:

- სახელმწიფოს მოქმედების შეფასების კრიტერიუმად შესაძლოა გამოვიყენოთ მოქალაქეების კმაყოფილების ხარისხი;¹³
- უკეთესი სახელმწიფო სერვისების მიწოდება უნდა მოხდეს მინიმალური რესურსის გამოყენებით;¹⁴
- უნდა მოხდეს პრიორიტეტებისა და მიზნების შესაბამისობაში მოყვანა და ახალი შესაძლებლობებისა და გზების გამოყენება მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

¹³ იხ <http://iist.unu.edu/events/seminar-citizenvision-2.0-new-rules-engagement-interaction-between-public-sector-and-civil-so>

¹⁴ The European eGovernment Action Plan 2011-2015 Harnessing ICT to promote smart, sustainable & innovative Government/

სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

სახელმწიფოს მიერ ელექტრონული სერვისების მიწოდებას გარკვეულწილად არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა. შიდაუწყებრივი და სხვა სახის სამართლებრივი აქტებით უზრუნველყოფილია სხვადასხვა დოკუმენტის მიღება/მიწოდება და საჯარო დაწესებულების სხვადასხვა მომსახურების მიღება ელექტრონული ფორმით. როდესაც საუბარია ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში ელექტრონული მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების გაზრდაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსს, რაც მოიცავს საჯარო დაწესებულებების მხრიდან ვებ-გვერდების მეშვეობით მომსახურების გაწევას, მომხმარებელთან ინტერნეტით ურთიერთობის სხვა ფორმებს (სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მიღება, ვაჭრობებში მონაწილეობის საშუალება და ა.შ.) და ინტერაქტივის დამკვიდრებასა და მისი დონის ამაღლებას. ხოლო როდესაც საუბარია ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში მოქალაქეებთან ელექტრონული კომუნიკაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-რესურსების თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით ამ დაწესებულებების მმართველობის სფეროში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით გამოქვეყნებას და ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, აგრეთვე, ზოგადად, საზოგადოების მონაწილეობას საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელებას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვასა და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

წარმოგიდგინთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვას, რომელიც მოიცავს ზემოთ ხსენებული საკითხების რეგულირებას.

- „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი

2011 წლის 20 დეკემბერის „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 3, „ი“ პუნქტი) განისაზღვრა სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონული ბაზის რაობა,

რომლიც წარმოადგენს ელექტრონული ფორმით არსებული სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზას ან მისი ნაწილს.

ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად **(დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენა)**. სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარუდგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით. სახელის მიუნიჭებლობის შემთხვევაში, ახალშობილისათვის, შესაბამისი სქესისათვის განკუთვნილი სახელის მინიჭება ხდება, ბაზაში არსებული სახელების მიხედვით შემთხვევითი შერჩევის პრინციპის მიხედვით (აღნიშნული კანონის 25-ე მუხლი).

ამავე კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად (პუნქტი 1) სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ასევე პირი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არც ერთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებასთან, ვალდებულია გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა სააგენტოს წარუდგინოს **ელექტრონული ფორმით**. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა შეიძლება წარდგენილ იქნეს მატერიალური ფორმით. ამავე კანონის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ, ამ კანონის ამოქმედებამდე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ასლს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც აღნიშნული ჩანაწერის დედანს.

- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულება. აღნიშნული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის დისტანციური მომსახურების სამსახურის¹⁵ მიზანია მომხმარებლისთვის სააგენტოს დისტანციური მომსახურებების მაღალი ხარისხით მიწოდება. აღნიშნული სამსახურის ფუნქციებში, სხვა საკითხებთან ერთად შედის:

- ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი განაცხადების მიღება;
- სააგენტოს საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით მომხმარებლებისათვის

¹⁵ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების 25-ე მუხლი.

სატელეფონო კონსულტაციების გაწევა¹⁶;

ამავე დებულების 33-ე მუხლით განსაზღვრული უკუკავშირის სამსახურის მიზანია სააგენტოს საქმიანობით სააგენტოს თანამშრომლების, მომხმარებლებისა და პარტნიორების კმაყოფილების დონის განსაზღვრა, რა მიზნითაც სამსახურს განესაზღვრა სააგენტოს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და პარტნიორებთან უკუკავშირის სისტემის განვითარების და უკუკავშირის წარმოების და მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების უზრუნველყოფის ამოცანები.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 7 სექტემბრის №791 ბრძანებულებით შევიდა ცვლილებები „დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის №406 ბრძანებულებაში, ცვლილებების შესაბამისად (მუხლი 8²) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხრიდან დაინტერესებულ პირთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების/გადაწყვეტილების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნების, განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და წერილობითი შეტყობინების ოფიციალური გაცნობის (გადაცემის ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნის) გზით. განმცხადებელთან კომუნიკაცია დამატებით შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუ განაცხადში მითითებულია ელექტრონული ფოსტა.“ ანალოგიური ჩანაწერია საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 7 სექტემბრის №790 ბრძანებულებით შეცვლილ „დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის №404 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილების 6² -ე მუხლში.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესების შესაბამისად საგრანტო განაცხადი საბჭოს წარედგინება საგრანტო პროგრამაში არსებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე¹⁸.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბერი N 228 – N 188 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების წესების მიხედვით, საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია სააგენტოსგან გამოითხოვოს და სამი სამუშაო დღის ვადაში მიიღოს ელექტრონული ფორმით შედგენილი სამოქალაქო აქტები, ასევე

¹⁶ დებულების 25-ე მუხლის, მესამე პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები

¹⁷ შენიშვნა: მიზანშეწონილია, რომ სააგენტოს ფარგლებში დადგინდეს ონლაინ კონსულტაციების წარმოზავ სერვისის მიწოდების მოხერხებულობის ხარისხის ასამაღლებლად.

¹⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №152

მატერიალური ფორმით არსებული სამოქალაქო აქტების და საბჭოთა სიმბოლიკიანი პასპორტის განცხადება-ანკეტის ფოტოასლები ელექტრონული მართვის სისტემისა და სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტის პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზის დროს, მატერიალური დოკუმენტების გარდა, შესაძლებელია აგრეთვე ელექტრონული დოკუმენტების გამოყენება. ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნება, ამავდროულად 2010 წლიდან ოფიციალური იურიდიული ძალა აქვს აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს¹⁹. ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე. 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული ხელმოწერით დამოწმებული, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. სახელმწიფო რეესტრი (გარდა „საიდუმლო“ ნაწილისა) წარმოებს ელექტრონული ფორმით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე²⁰.

საქართველოს კანონი **„ნორმატიული აქტების შესახებ“** 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად, სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნებასთან ერთად, მისი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით.

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

¹⁹ ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁰ ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მეორე პუნქტი.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მიზანია ²¹, სხვა საკითხებთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება²². პროცესს წარმართავს და ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ამ კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზნით და შესყიდვების პროცესში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი, ასევე მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, როემლთა ელექტრონულ ასლებსა და მათ ამონაბეჭდებს აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტებს²³.

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვები შეიძლება განახორციელოს ასევე პირმა, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაცია²⁴. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს მე-3 მუხლის შესაბამისად ასევე ელექტრონულად ქვეყნდება: შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი და შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი. შესყიდვები უმეტესობა ხორციელდება ელექტრონული ფორმით²⁵, ხოლო გამარტივებული შესყიდვა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად²⁶.

სატენდერო კომისია ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან დადებულ

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

²² შენიშვნა: აღნიშნული რედაქციით კანონი ჩამოყალიბდა 2005 წლის ივნისიდან.

²³ შენიშვნა: აღნიშნული რედაქცია ამოქმედდა 2010 წლის 1 აგვისტოდან

²⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 პუნქტი

²⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჟ“ და „რ“ პუნქტები

²⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი

ხელშეკრულებას და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით აქვეყნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული წესით²⁷.

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში²⁸. სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვისათვის შექმნილია საბჭო, რომლის გადაწყვეტილები ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია აღნიშნული წარმეობის ფარგლებში წარდგენილი საჩივარი და სხვა დოკუმენტაცია.

ამ მიმართულებით ცალკე უნდა აღინიშნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტივობები. აღნიშნული სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის ბრძანებით (№3) დადგინდა საბეჭდი ქალაქის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, რომლის შესაბამისად, სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

ამავე სააგენტოს 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანებით დამტკიცდა ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, რომლის შესაბამისად სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. აღნიშნული შეტყობინება ასევე უნდა გაიგზავნოს სატენდერო კომისიის სახელზე ოფიციალური წერილობითი ფორმით.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის №25 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესის და პირობების“ შესაბამისად გამარჯვებულმა მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში ყოველდღიური ფასის ნახვა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი შესაბამისი

²⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹-მუხლის (ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი) მე-14 პუნქტი

²⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი

მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.“.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალი №3 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის შესაბამისად კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, გარდა ხელშეკრულებისა, დაუყოვნებლივ, გამოქვეყნების მიზნით ეგზავნება კონკურსისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov.ge. დოკუმენტი სააგენტოში გაგზავნილად ჩათვლება მხოლოდ სააგენტოს მიერ მისი მიღების დადასტურების შემდეგ, რაც ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე სააგენტოს მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული წესი ამოქმედდა 2012 წლის 17 მარტიდან. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, მათი არსებობის შემთხვევაში, უგზავნის სააგენტოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge გამოქვეყნების მიზნით. შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები, მათი არსებობის შემთხვევაში, დასკანერებული სახით წარედგინება სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge მეშვეობით.

- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად (სასამართლოს განჩინების გამოქვეყნების ვალდებულება) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება სასამართლომ გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა უნდა გამოაქვეყნოს ელექტრონულ სისტემაში. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განჩინების დამატებით ბეჭდვით ორგანოში, მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივ ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო

საშუალებებში, გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ივლისიდან (3¹ მუხლი) აღნიშნული ნორმატიული აქტით შემოღებულ იქნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას და გაცვლას ამ კანონით გათვალისწინებულ პირებს (სუბიექტებს) შორის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საგადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო/დავის განმხილველ ორგანოს შორის მიმოწერა (მათ შორის, საგადასახადო მოთხოვნის, საჩივრის წარდგენა) შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ხოლო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება პირის მიერ მისი გაცნობისთანავე ან გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გაგზავნიდან (განთავსებიდან) 30-ე დღეს. თუ პირისათვის წერილობითი და ელექტრონული დოკუმენტების ჩაბარება ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ხერხდება, მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება ოფიციალური დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის გასაგზავნი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით²⁹. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობით დოკუმენტს.

ამ კოდექსის 67-ე მუხლის მე-3 ნაწილით პირს უფლება აქვს, პირადად წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში, აგრეთვე გაგზავნოს იგი დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ელექტრონული ფორმით. (მუხლი 70. გადასახადის გადამხდელისაგან ინფორმაციის მოთხოვნა, პირველი ნაწილი) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელისაგან წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა.

გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხოს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით³⁰.

საგადასახადო ორგანოს მიერ პირის მიმართ ამ კოდექსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დავის განმხილველ ორგანოში ამ თავით დადგენილი წესით. საჩივარი დავის განმხილველ ორგანოს წარედგინება წერილობით ან ელექტრონულად. მომჩივნის მიერ დავის განმხილველ ორგანოში ელექტრონული ფორმით წარდგენილ ინფორმაციას აქვს ისეთივე ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილს³¹. საჩივრის ზეპირი განხილვის დროისა და ადგილის შესახებ მომჩივანს ეცნობება დავის განმხილველი ორგანოს ხელთ არსებული საშუალებით, მათ შორის,

²⁹ 2010 წლის საგადასახადო კოდექსის 45-ე მუხლი (ვალდებულებების დამდგენ ურთიერთობათა წერილობითი/ელექტრონული ფორმით განხორციელება)

³⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-9 ნაწილი

³¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 299-ე მუხლი

ტელეფონით, დაზღვეული ან ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვა.

- საქართველოს საბაჟო კოდექსი

საგულისხმოა, რომ საქართველოს საბაჟო კოდექსის 89¹-ე მუხლის შესაბამისად (დოკუმენტბრუნვა) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს, მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის, საარქივო მასალის) სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს.

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გაცემის წარმოება განახორციელოს ელექტრონული ფორმით.³² მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით. დაინტერესებული მხარისათვის ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაცნობას³³. ლიცენზიის ან/და ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს მის მიერ შექმნილი ან მასთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის, სალიცენზიო/სანებართვო მოწმობა ან სალიცენზიო/სანებართვო მოწმობის დუბლიკატი, ასევე უწყებრივი სალიცენზიო/სანებართვო რეესტრის ასლი.

³² საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მუხლი 26⁴. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი (11.10.2011 N 5093)

³³ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მუხლი 26⁴-ე მუხლის მე-5 პუნქტი

აღნიშნული კანონის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტის, მათ შორის, სალიცენზიო/სანებართვო მოწმობის ან სალიცენზიო/სანებართვო მოწმობის დუბლიკატის, ასევე უწყებრივი სალიცენზიო/სანებართვო რეესტრის ელექტრონულ ასლებს და მათ ამონაბეჭდებს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტს.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით³⁴ განმარტებულია თუ რას წარმოადგენს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, კერძოდ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება. აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2013 წლის 1 სექტემბრიდან. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით³⁵.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსში 2012 წელს შესული ცვლილებით ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეცათ საშუალება საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენონ პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღონ, გამოსცენ ან გასცენ მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით; ელექტრონული ასლის სახით შეინახონ და გასცენ თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს მიენიჭათ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც – თავად დოკუმენტს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად (178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) მოსარჩელის რეკვიზიტს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტის მისამართიც. სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და

³⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტი.

³⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ტელეფონის ნომერი“. ელექტრონული ფოსტით სასამართლო უწყების გაგზავნისას, შეტყობინების მიღება დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით ან/და ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით“. ამავე კოდექსის 184-ე მუხლის მესამე ნაწილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარება) შესაბამისად მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.“.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის³⁶ შეიძლება დამუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები. მონაცემთა შეგროვების მიზნის მიუხედავად, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება დამუშავდეს შემდეგი მონაცემები: სახელი (სახელები), მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი.

- საქართველოს საარჩევნო კოდექსი

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად საჩივრის წარმდგენი მხარეები ვალდებული არიან, საჩივარში, სხვა რეკვიზიტებთან ერთად გარკვევით მიუთითონ საჩივრის ავტორის ფაქსი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საჩივრის განხილვისათვის, ამ კანონით მოთხოვნილი საჩივრის განხილვის ვადების დაცვის მიზნით, მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ისე ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით. ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს.

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი

³⁶ შენიშვნა: პირდაპირი მარკეტინგი – ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 4¹) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია ჰქონდეს რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზედაც/რომლებზედაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა. რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება შესაბამისი პირისათვის **ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად**. ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის რეგისტრაციისთვის გამოიყენება ამ კანონით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრაციის შესახებ ინსტრუქციით“ რეგისტრაციისათვის დადგენილი წესები.

- სსიპ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანებით³⁷ დამტკიცდა სსიპ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომლის მე-10 პუნქტის შესაბამისად მონიტორინგის და ოპერატიული რეაგირების სამმართველოს ფუნქციებში, სხვა მიმართულებებთან ერთად განისაზღვრა კავშირის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ტელეფონი, რადიოკავშირი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი და სხვა) საბაჟო გამშვები პუნქტების ინფორმირება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების თაობაზე, აგრეთვე, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე კონსულტაცია, დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღება/დამუშავება და შესაბამისი რეაგირება.

- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დებულება

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 იანვრის ბრძანებით (№19) დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დებულება, რომლის

³⁷ შენშენა ბრძანების №17744.

შესაბამისად (მუხლი 6 მონიტორინგის განხორციელების საფუძველი და ვადა) სამართლებრივ მიერ მონიტორინგის განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია მასმედიისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებული მასალები, ცხელი ხაზითა და ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაციები.

- საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის განხორციელებისას საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – „სმართ ლოჯიქში“ დაინერგება მენეჯერული პროცესები, რაც მას სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ერთდროულად მომსახურების საშუალებას მისცემს. მომსახურებაში იგულისხმება IT სერვისების სრული სპექტრი: ქსელური უზრუნველყოფა, ელექტრონული ფოსტის სერვისი, ონლაინკომუნიკაციის საშუალებები, ტელე- და ვიდეოკონფერენციები, დროისა და დავალებების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარება, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტისგან, პროგრამისა და ვირუსისგან დაცვა, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნა და ინციდენტების მართვა, ციფრული სატელეფონო სერვისი და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 21 დეკემბერის N 702 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდა რაიონის გამგეობის დებულება. აღნიშნული დებულების 51-ე მუხლის შესაბამისად (გამგეობაში შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია), განაწილება, დამუშავება და გადაგზავნა) გამგეობა წერილობით ოფიციალურ კორესპონდენციას იღებს შესაბამისი საფოსტო განყოფილებიდან. კორესპონდენციის და სხვა ინფორმაციის მიღებას ახორციელებს აგრეთვე გამგეობის საინფორმაციო ცენტრი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტით მიღებული კორესპონდენცია ან სხვა ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერში, რეგისტრირდება აპარატის შესაბამის განყოფილებაში ზემოთ აღნიშნული წესით და გადაეცემა ადრესატს. ელექტრონული ფოსტით დოკუმენტის გადაგზავნას უზრუნველყოფს საინფორმაციო ცენტრი.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 4 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, რომლის შესაბამისად გენერალური ინსპექციის მიერ ინსპექტირებისა და სამსახურებრივი

შემოწმების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს სხვა საფუძვლების გარდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნებული მასალები, ცხელი ხაზითა და ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაციები, ცალკეულ პირთა განცხადებები³⁸.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2012 წლის 20 ივლისის №126/37 ბრძანება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული შემოღებული რეგულაციების მიხედვით ინფორმაციის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფორმით – ელექტრონული ფოსტის მისამართზე – info-cpu@sao.ge, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. თუ ინფორმაციის ცნობება ხდება წერილობითი ფორმით, მაშინ შეტყობინების ჩაბარებად ითვლება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში კორესპონდენციის მიღება. ელექტრონული ფორმით შეტყობინების მიღება დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. აღნიშნული წესით დადასტურების მიღებისას შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №113/ნ ბრძანება

ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესისშესაბამისად, ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დუბლიკატის გაცემის მიზნით საინფორმაციო სისტემა უფლებამოსილია რესურსცენტრს მიმართოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხოლო რესურსცენტრი უზრუნველყოფს პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებისა და დასრულების შესახებ მონაცემების მოპოვებას იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც დაასრულა პირმა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული მონაცემები ელექტრონული ფოსტით დაუყოვნებლივ ეგზავნება საინფორმაციო სისტემას.

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დამტკიცებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების შესაბამისად სადაზღვევო შემთხვევის შესახებ (გარდა გეგმური ამბულატორიისა)

³⁸ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების პირველი პუნქტის მე-6 ქვეპუნქტი

შეტყობინება შესაძლებელია გაკეთდეს სპეციალურად ამ მიზნებისათვის განსაზღვრულ სატელეფონო ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დადგენილი გადასახადების ადმინისტრირების წესებით, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლა ხორციელდება გადასახადის გადამხდელის მიერ ვიდეოზარით მიმართვის წერილობითი განცხადების საფუძველზე. შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია (მათ შორის, დეკლარირება) შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის www.rs.ge გამოყენებით³⁹. სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით – პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი, ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ **საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს/წერილს.**

ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის შესახებ გადასახადის გადამხდელის განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის გადაყვანას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე და მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობებს მას ავტორიზაციის შესახებ. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ვიდეოზარის/წერილობითი განცხადების მეშვეობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნული სახელწოდების/პაროლის აღდგენის მიზნით. საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი სამსახურის ვებგვერდზე (ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე) მიუთითებს ტელეფონის ახალ საკონტაქტო ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს ვიდეოზარით მიმართვის ან წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე შეწყვიტოს ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია. თუ ტექნიკური მიზეზის გამო (როდესაც ვერ ხერხდება ელექტრონულ პროგრამასთან დაკავშირება) შეუძლებელია ზედნადების ელექტრონულად შევსება, პირი აღნიშნულის შესახებ აცნობებს საგადასახადო ორგანოს (მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით), რის შემდეგაც ხელით ავსებს ზედნადებს.

³⁹ შენიშვნა: მუხლი 11.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 25 იანვრი ბრძანება №766

შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება საჩივრის/პრეტენზიის მედიაციის საბჭოზე განხილვა, მედიაციის საბჭოს აპარატი – დავების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დასკვნის მიღების ან ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემთხვევაში, საბჭოზე განსახილველად საკითხის მომზადებას, მომდევნო/უახლოესი საბჭოს დღის წესრიგის პროექტის შედგენას და საბჭოს წევრებისათვის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნას. დღის წესრიგი თანხმდება საბჭოს თავმჯდომარესთან/მოადგილესთან. საბჭოს წევრებს და გადამხდელს/მის უფლებამოსილ წარმომადგენელს საბჭოს სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ დავების დეპარტამენტი ატყობინებს არსებული ტექნიკური საშუალებებით (ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვ.) და გადასახადის გადამხდელს აცნობებს, რომ სურვილის შემთხვევაში, მას მიეცემა შესაძლებლობა საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

პირი უფლებამოსილია სამინისტროს სისტემაში ელექტრონული საჩივარი წარადგინოს სამსახურის ან სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით, რაც მას არ ართმევს უფლებას საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოსთან კომუნიკაცია აწარმოოს წერილობითი ფორმით. სამსახურის ვებგვერდის საშუალებით წარდგენილი ელექტრონული საჩივარი და თანდართული დოკუმენტები ითვლება მომჩივნის მიერ ხელმოწერილად და დანომრილად. პირს ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპებისა და განხილვის შედეგების შესახებ მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რაც არ ათავისუფლებს საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოს ვალდებულებისგან, მომჩივანს წერილობით შეატყობინოს საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ელექტრონული საჩივარი ინახება საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც არის სამინისტროს დავების განხილვის სამსახურსა და შემოსავლების სამსახურში საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით მიღებულ საჩივრებთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების ამსახველი მონაცემების ერთობლიობა. საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული ინფორმაცია/დოკუმენტაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალების სახით.

- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისი №2742 ბრძანება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების შესაბამისად (მუხლი მე-10) საკონსულტაციო სამმართველოს ფუნქციებია დაინტერესებული პირის მიმართვის (წერილობითი/ზეპირი) საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათის განმარტების (წერილობითი/ზეპირი) გაცემა. სამსახური ახორციელებს დაინტერესებული პირისათვის კონსულტაციის გაწევა ელექტრონული კომუნიკაციების

(ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი) მეშვეობით, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელებთან განმარტებითი მუშაობის აწარმოებს.

- ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის დადგენილება №03.30.99

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის დადგენილება №03.30.99 რეგულაციით თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ მეიჯარის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) მოიჯარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ძალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების მიხედვით მომხმარებელი მოვალის საკუთრებაში არსებულ ქონებას იძენს www.nbe.gov.ge ან/და www.eauction.ge ვებ-გვერდების მეშვეობით. აღნიშნულ ვებგვერდზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. რეგისტრაციის დასკვნით ეტაპზე სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე ვებგვერდის ბმულს. აღნიშნული ბმულის მომხმარებლის მიერ ბროუზერში გახსნის და აქტივაციის კოდის შეყვანით სრულდება რეგისტრაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე რეგისტრაცია მომხმარებლისთვის უფასოა. ვებგვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში „მომხმარებლის სახელის“ („დასახელების“) და „პაროლის“ შეყვანის გზით.

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N 420 დადგენილება

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N 420 დადგენილებით დამტკიცებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესების შესაბამისად საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, საქონლის წარმოშობის დეკლარირების მიზნებისათვის, პირის მიერ შესაძლებელია წარდგენილ იქნეს: საქონლის დამამზადებლის ან გამყიდველის მიერ საქონელთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტები, ექსპორტიორი ან/და სატრანზიტო ქვეყნის საბაჟო დეკლარაცია, ექსპორტიორის წერილობითი განაცხადი (დეკლარაცია) ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც

შეიცავს მონაცემებს წარმოშობის ქვეყნის შესახებ და თან ახლავს საქონელს ან მიღებულია ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 ოქტომბრის N801 ბრძანება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 22 ოქტომბრის N801 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულებით (მე-11 პუნქტი) ინსპექტირების სამმართველოს ერთ-ერთი ფუნქციაა ელექტრონული ფოსტით შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/ნ ბრძანება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 98/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესებისა შესაბამისად საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების ან განათლების აღიარების მიზნით, საგანმანათლებლო დოკუმენტის მფლობელი, ამ პირის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი ან სხვა დაინტერესებული პირი ცენტრში წარადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებულ განცხადებას. განცხადება და თანდართული დოკუმენტები ცენტრს შესაძლებელია წარედგინოს ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით ქართულ ან ცენტრის მიერ დადგენილ უცხო ენაზე.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის N 104 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესის მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგენილია შიდა ელექტრონული ბრუნვის სისტემა. შვებულების მოთხოვნის შესახებ „სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ფორმა“ ელექტრონული ფოსტით წარედგინება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და გენერალურ ინსპექციას საშვებულებო პერიოდის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. თანამშრომელი სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ან/და დღის

განმავლობაში სამსახურიდან გასვლის შესახებ ვალდებულია ელექტრონული ფორმით აცნობოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოსამსახურე ვალდებულია შეავსოს „სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ფორმა“ და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსს, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და გენერალურ ინსპექციას. აღნიშნული დღეები ჩაითვლება შვებულების დღეებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურეს გამოყენებული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი შვებულება, მას მიეცემა შვებულება ანაზღაურების გარეშე.

- საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისი № 404 ბრძანებულება

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისი № 404 ბრძანებულებით დამტკიცებული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის შესაბამისად მოსაკრებლის ქვითრის წარუდგენლობის შემთხვევაში, მის წარსადგენად განმცხადებელს განესაზღვრება დამატებითი ვადა არა უმეტეს ერთი თვისა, რის თაობაზეც ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. ქვითრის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხრიდან დაინტერესებულ პირთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების/გადაწყვეტილების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნების, განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან/და წერილობითი შეტყობინების ოფიციალური გაცნობის (გადაცემის ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნის) გზით. განმცხადებელთან კომუნიკაცია დამატებით შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (განაცხადში ელექტრონული ფოსტის მითითების შემთხვევაში)⁴⁰. ანალოგიური წესია დადგენილია

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივნისის №99 ბრძანება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივნისის №99 ბრძანებით დამტკიცებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის გაცემისა და გაუქმების წესების შესაბამისად უცხო სახელმწიფოში მყოფი პირის მიერ ელექტრონული ფორმით განცხადების წარდგენა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში, თუ განცხადება

⁴⁰ შენიშვნა: ანალოგიური წესია დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის № 406 ბრძანებულებით დამტკიცებული დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის შესაბამისად

დადასტურებულია განმცხადებლის ციფრული ხელმოწერით, რომელიც შესრულებულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გამოყენებით და იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

დასკვნა

როგორც ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა სამართლებრივი აქტების ამონარიდებიდან ჩანს საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მხოლოდ ნაწილი ცდილობს სერვისებზე თუ კომუნიკაციაზე ორიენტირებული საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას. ბუნებრივია მოქალაქეებთან ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდების დანერგვა მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო უწყების მიერ არ შეიძლება შეფასდეს, როგორც პრობლემის გადაჭრის საბოლოო გზა. ამ მიმართულების განსავითარებლად და ელექტრონული კომუნიკაციის მექანიზმების დასანერგად აუცილებელია ერთიანი სტრატეგიის შემუშავება სახელმწიფო და კომერციული სექტორისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვროს ელექტრონული სერვისების დანერგვის მიმართულებებიც.

რეკომენდაციები

- პირველ რიგში უნდა შეფასდეს არსებული მდგომარეობა და გამოვლინდეს პრობლემური მიმართულებები. მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იყოს გაცხადებული თუ რა გეგმები აქვს კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ქსელის უსაფრთხოების და სერვისების განვითარების, ასევე პროცესში ჩართული მომხმარებლების რაოდენობის ზრდის კუთხით.
- უმნიშვნელოვანესია აღმოიფხვრას ის დაშორება როემლიც არსებობს რეგიონებს და ქალაქებს შორის, როგორც საქსელო, ასევე ჩართულობის კუთხით.
- კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების თანხვედრის, ხარჯების მინიმალიზაციის ამოცანის შესასრულებლად და ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას აუცილებელია მსოფლიო გამოცდილების კერძოდ ევროკავშირის, შეერთებული შტატების, სამხრეთ კორეის და იაპონიის გამოცდილების გათვალისწინება.